ოქმი:**ო31.31203303**
თარიღი:**25/11/2020**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების"

სხდომის ოქმი №2

ქ.ლანჩხუთი

24.10.2020 წელი

11.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების" თავმჯდომარე

გოგი მორჩილაძე

ფრაქციის წევრები: ალექსანდრე მახათაძე, კარლო კვიტაიშვილი.

ფრაქციის თავმჯდომარემ, გოგი მორჩილაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: გოგი მორჩილაძე/

2.**სხვადასხვა საკითხები.**

ფრაქციის თავმჯდომარემ გოგი მორჩილაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: . „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული ის ამოცანები, რაც ზოგადად, დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისთვისაა საჭირო. აქედან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით, 2021 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 11850400ლარით.

როგორც ცნობილია, ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილისაგან. რა თქმა უნდა, განხილვის პროცესში წამოიჭრება გარკვეული შენიშვნები და მოთხოვნები, მაგრამ წარმოდგენილი პროექტი გახლავთ დაბალანსებული. როგორც პროექტიდან ჩანს, არის გარკვეულ ფარგლებში მატებები დამატებითი ღირებულების გადასახდის ხარჯზე, სხვა მხრივ კი, მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გათვალისწინებით ძირითადად შენარჩუნებულია იგივე მაჩვენებლების დონე. აქედან გამომდინარე, დღგ-ის ზრდის ხარჯზე შესაძლებლობის ფარგლებში ამოცანების მიხედვით თანხები გადანაწილებულ იქნა კონკრეტულ ა(ა)იპ-ებსა და კონკრეტულ საბიუჯეტო ღონისძიებებზე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტში არ არის წარმოდგენილი სახელფასო მატება, რადგან ამას ესაჭიროება შესაბამისი ფინანსური რესურსი.

ფრაქციის წევრების მიერ ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებით გამოითქვა შემდეგი შენიშვნები :

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოფისე ტექნიკით უზრუნველყოფა.
2. მოხდეს თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა ხელფასების მოწესრიგება სახელფასო ფონდი დაიგეგმოს 13 თვეზე.

პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე .

ფრაქციის თავმჯდომარემ გოგი მორჩილაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

2. სხვადასხვა საკითხები:

ვინაიდან ფრაქციის წევრების მიერ სხვა საკითხი არ დასმულა, ფრაქციის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.

გოგი მორჩილაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება -
კონსერვატორები "-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული
ოცნება - კონსერვატორების" თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერვატორების " წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26.10. 2020 წელი
11. საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გოგი მორჩილაძე	10:50	
2	კარლო კვიტაიშვილი	10:53	
3	ალექსანდრე მახათაძე	10:56	